

ა(ა)იპ „საქართველოს ავტომობილისტთა კლუბი“

18 აპრილის წყვილთა რბოლის დებულება



შეჯიბრების დებულება  
საქართველოს თასი წყვილთა რბოლაში 1 ეტაპი  
(ღია ტურნირი)

საქართველოს ავტომობილისტთა კლუბი „საკ“

## 1. შეჯიბრების პროგრამა

- |   |                              |
|---|------------------------------|
| 1. მონაწილეთა რეგისტრაცია<br>ტექნიკური დათვალიერება | 09:00 სთ-დან - 10:00 სთ-მდე; |
| 2. ბრიფინგი   | 10:10                        |
| 3. შეჯიბრების სტარტი:                               | 10:30 სთ                     |
| 4. პროტესტები ყოველი გარბენის შემდეგ.               |                              |
| 5. დაჯილდოება                                       | 18:30 სთ.                    |

## 2. შეჯიბრების ორგანიზატორი, ოფიციალური პირები

### შეჯიბრების ორგანიზატორი:

ა.(ა).ი.პ. საქართველოს ავტომობილისტთა კლუბი

საქართველო, თბილისი, ე. მიქელაძის 20

ელ. ფოსტა: [info@gac.gac.org.ge](mailto:info@gac.gac.org.ge)

შეჯიბრების კოორდინატორი: მანუჩარი ომანაძე 568600600

შეჯიბრის ადგილი: რუსთავის ავტოდრომი

### ოფიციალური პირები:

შეჯიბრების დირექტორი: . . . . .

შეჯიბრების ხელმძღვანელი: . . . . .

შეჯიბრების მთავარი მდივანი: . . . . .

შეჯიბრების მთავარი ტექ. კომისარი: . . . . .

შეჯიბრების მთავარი მსაჯი: . . . . .

შეჯიბრების მთავარი ქრონომეტრაჟისტი: . . . . .

## 3. შეჯიბრების ტრასა

3.1. შესასრულებელი გარბენის რაოდენობაა 2 მოგებამდე.

3.2. დისტანციის სიგრძე: ----- მ

3.2. შეჯიბრების ხანგრძლივობა: ----- საათი

## 4. შეჯიბრების პირობები

4.1. შეჯიბრება ტარდება საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის (სსსფ) სპორტული კოდექსის შესაბამისად და ამ დებულების თანახმად.

4.2. მრბოლელს უფლება აქვს განაცხადი გააკეთოს შეჯიბრების რეგლამენტის შესაბამისად.

4.3. ორგანიზატორს უფლება აქვს შეუცვალოს განაცხადში მითითებული კლასი, თუ მისი ავტომობილი არ აკმაყოფილებს გაცხადებული კლასის ტექნიკურ მოთხოვნებს ან უარი განუცხადოს მსურველს შეჯიბრებაში მონაწილეობაზე, თუ მისი ავტომობილი არ აკმაყოფილებს უსაფრთხოების ნორმებს და შესაძლებელია საფრთხე შეუქმნას როგორც მონაწილეს, ასევე გარშემომყოფთ.

4.4. მრბოლელს უფლება აქვს განაცხადი გააკეთოს დებულების შესაბამის დროში.  
**დაგვიანების შემთხვევაში განაცხადი არ მიიღება.**

4.5. ერთი ავტომობილით ასპარეზობის უფლება აქვს მაქსიმუმ 2 (ორი) მონაწილეს.

## 5. შეჯიბრების წესები

5.1. სტარტი: მსაჯის მითითებით.

5.2. ფინიში: ზოლის გადაკვეთით.

5.3. რბოლა: მონაწილეების დაწყვილება მოხდება კენჭისყრით.

5.4. წყვილში გამარჯვებული გადადის მომდევნო ეტაპზე, ხოლო დამარცხებული ეთიშება ასპარეზობას.

5.5. ფინიშის გადაკვეთის შემდეგ მრბოლელს ეძლევა გამაგრებულ წრეზე წასვლის უფლება, მაგრამ გამაგრებული წრე აუცილებლად უნდა გაიაროს არასარბოლო რეჟიმში.

5.6. იმ შემთხვევაში, თუ კლასში ვერ ხერხდება 16 მონაწილის გამოვლენა, რბოლის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით ადგილზე შესაძლებელია დაწყვილების პრინციპის ცვლილება.

5.7. დისტანციის გავლის ყველა მცდელობა აითვლება სტარტიდან ფინიშის ჩათვლით.

5.8. არასწორად გავლილი სარბოლო გარბენი ითვლება არ შესრულებად და მონაწილეს გარბენი ეთვლება წაგებად.

6.0. ჯარიმა ეკისრება იმ ავტომობილს რომლებმაც მოახდინეს დროის ან სარბოლო მონაკვეთის შემცირება. ჯარიმას განსაზღვრავს მთავარი მსაჯი.

## 6. მონაწილეები

6.1. შეჯიბრებაზე დაიშვებიან პირები, რომელთაც გააჩნიათ ავტომობილის მართვის მოწმობა ან ეროვნული ფედერაციის მიერ გაცემული მრბოლელის ლიცენზია.

6.2. მონაწილე ვალდებულია მონაწილის ბარათის შევსების დროს ჩაწეროს ინფორმაცია სრულყოფილად, ორგანიზატორის მოთხოვნის შესაბამისად.

6.3. შეჯიბრება ატარებს ღია ტურნირის სახეს და მასში მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ როგორც საქართველოს ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქეებს.

6.4. პასუხისმგებლობა მატერიალურ ზარალზე, როგორც მონაწილეების და მათი ქონების მიმართებაში, ასევე მესამე პირთა და სახელმწიფო ქონების მიმართებაში, ევალებათ უშუალოდ ზარალის გამომწვევ პირებს. ორგანიზა-ტორი ამ პასუხისმგებლობას არ იზიარებს.

6.5. დაშვებულია ავტომობილის ტექ. შეკეთება და საწვავით შევსება უსაფრთხოების ნორმების დაცვით, რისთვისაც მონაწილეს ეძლევა მაქსიმუმ 10 წუთი.

6.6. სარბოლო მონაკვეთზე უსაფრთხოების ღვედების არ ქონის შემთხვევაში მონაწილე მოიხსნება შეჯიბრებიდან.

**6.8. აბსოლუტური „Pro OverAll” კლასი:**

- შეჯიბრზე დაიშვებიან პირები, რომელთაც გააჩნიათ ავტომობილის მართვის მოწმობა ან ეროვნული ფედერაციის მიერ გაცემული მრბოლელის ლიცენზია.
  - აბსოლუტურ კლასში ღია თლებიანიანი ავტომობილი არ დაიშვებიან. საბურავების შეზღუდვა არ არის.
1. პირადობის მოწმობა ან მრბოლელების ლიცენზია;
  2. ავტომობილის ტექნიკური პასპორტი;

**6.9. მოყვარულთა კლასი:**

მოყვარულთა კლასი შედგება 3 კლასისგან:

ჯგუფის კლასიფიკაცია	ძრავის მოცულობა
AM2000	2000 სმ 3 -მდე
AM3000	2000სმ3დან 3000სმ3მდე
AM OverAll	3000სმ3 და მეტი

ძრავის კოეფიციენტი AM ჩათვლითი ჯგუფისათვის

ძრავი	კოეფიციენტი
Diesel	0.9
VTEC, VVTI, M	1.2
Compressor	1.4
Turbo Diesel	1.5
Turbo Petrol	1.7
Rotor	კუბატურის მიუხედავად ყველა ხვედბა 3000სმ3 და მეტი

მონაწილეთა ავტომობილები უნდა აკმაყოფილებდნენ საქართველოს კანონმდებლობით

გათვალისწინებული უსაფრთხოების ტექნიკურ რეგლამენტს.

- მონაწილეებს უფლება აქვთ დააყენონ ავტომობილზე ნებისმიერი ტიპის საბურავი, გარდა სპორტული („სლიკი“) საბურავისა და ნახევრად სპორტულს („პოლუსლიკი“) .
- შეჯიბრებაზე დაიშვებიან პირები, რომელთაც გააჩნიათ მოქმედი მართვის მოწმობა და ამ შეჯიბრებისთვის უსაფრთხო და ტექნიკურად გამართული ავტომობილი.
- მოყვარულთა კლასში არ დაიშვებიან პირები რომელთაც ბოლოს 3 წლის მანძილზე (2019, 2020, 2021) ჰქონდათ პროფესიონალი მრბოლელის ლიცენზია.
- წარმოსადგენი საბუთები:
  1. მართვის მოწმობა.
  2. ავტომობილის ტექნიკური პასპორტი.

## **7. მონაწილე ავტომობილები**

7.1. შეჯიბრზე დაიშვება მხოლოდ ტექნიკურად გამართული მსუბუქი ავტომობილები (ძარის სრული კომპლექტაციით), რომლებიც შეესაბამება საგზაო უსაფრთხოების წესებს.

7.2. ავტომობილზე დაშვებულია სპონსორის და სპორტული აქსესუარების რეკლამირება ნებისმიერ ადგილას, გარდა ხედვითი და წინა გვერდითი შუშებისა. ნებისმიერ ადგილზე (თუ ის არ ზღუდავს მძღოლის ხედვია არეს) დაშვებულია სარეკლამო წარწერა, რომელიც:

- არ არის აკრძალული კანონმდებლობით;
- არ ეწინააღმდეგება მორალის ნორმებს;
- არაპოლიტიკურია;
- არ იკავებს აუცილებელი აღნიშვნების ადგილებს ავტომობილის ძარაზე.

7.3. ყველა მონაწილე ავტომობილს უნდა გააჩნდეს სასტარტო ნომრები ავტომობილის ორივე მხარეს.

## **8. პროტესტები**

8.1. პროტესტები მიიღება მონაწილისაგან ან წარმომადგენლისაგან წერილობით მთავარი მსაჯის სახელზე გარბენის დამთავრების შემდგომ 10 (ათი) წუთის განმავლობაში ფულადი დეპოზიტის დადასტურებით.

8.2. პროტესტის დროს მონაწილეს შეუძლია წარმოადგინოს ინციდენტის ამსახველი ფოტო ან ვიდეო მასალა.

8.3. პროტესტი რბოლის წესების დარღვევაზე ან არაკორექტულ ქმედებაზე 100 ლარი.

8.4. პროტესტის თანხა მთლიანად ან ნაწილობრივ უბრუნდება განმაცხადებელს პროტესტის გამართლების შემთხვევაში.

## **9. შენიშვნები და განმარტებები**

9.1. ორგანიზატორს უფლება აქვს შეიტანოს დამატებები და ცვლილებები ასპარეზობის დებულებაში, წინასწარი ან საერთო განცხადების სახით სავალდებულო ბრიფინგის დროს.

შეჯიბრების მსვლელობის დროს ცვლილების უფლება აქვს მხოლოდ შეჯიბრების ხელმძღვანელს კომისართან შეთანხმებით.

9.2. ორგანიზატორი უფლებამოსილია გადაიტანოს ან შეწყვიტოს შეჯიბრება ფორს-მაჟორული ან ორგანიზატორისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. აღნიშნულის შემთხვევაში არ აგებს პასუხს მიყენებულ მორალურ და მატერიალურ ზარალზე.

„საქართველოს ავტომობილისტთა კლუბი“